ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება:**ბ37. 3722353001**
თარიღი:**19/12/2022**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში არსებულ ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატების შერჩევის მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნისა და კომისიის თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 35-ე მუხლის პირველი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების და „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის N204 დადგენილების მე-25^1 მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებული - საკრებულოს აპარატის, მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში, ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატის შერჩევის მიზნით შიდა კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად შეიქმნას საკონკურსო კომისია;

2. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი 1-ლი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა თავდუმაძე;

3. დაევალოს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეს განსაზღვროს კომისიის წევრთა რაოდენობა და შემადგენლობა;

4. კონკურსის ჩატარების წესი და პირობები, აგრეთვე საკონკურსო კომისიის საქმიანობის დეტალური წესი განისაზღვრება „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის N204 დადგენილებით;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დავით დარჩია

გამოყენებულია კვალიფიციური

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 WWW.OZURGETI.MUN.GOV.GE
#1 KOSTAVA STR. OZURGETI, 3500, GEORGIA. INFO@OZURGETI.MUN.GOV.GE